ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გაზეთი გამოდის 2015 წლის ოქტომბრიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა • მაისი/2025 N5 / 110

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი:

„26 მაისი თითოეული ჩვენგანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა! ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს ვულოცავ ამ დღეს!

107 წლის წინ, 26 მაისს ქართველმა ხალხმა მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვა, რომ დამოუკიდებელი ქვეყანაა. დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და შემდეგ მის დასაცავად ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით დღესაც. ეს ბრძოლა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას, გულისხმობს განვითარებას, ეკონომიკურ გაძლიერებას. საქართველო არის პატარა, მაგრამ უდიდესი კულტურის, უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყანა, ჩვენ ვართ ღვინის სამშობლო - 8000 წლიანი მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტი ისტორიით. ჩვენ გვაქვს ხელშესახები პროგრესი განვითარების გზაზე და წინსვლა გრძელდება. საქართველო მსოფლიო ცივილიზებულ საზოგადოებაში იმსახურებს ღირსეულ ადგილს“.

გვ. 3-4 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში იმყოფებოდა

გვ. 10 გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მარნეულსა და თბილისში პარკების მწარმოებელი კომპანიები შეამოწმა

გვ. 5 საქართველოში სამუშაო ვიზიტით ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალური დირექტორი ჯონ ბარკერი იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში ჯონ ბარკერმა მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა

გვ. 11 თანამედროვე ტექნოლოგია ბუნების სამსახურში ფოტოხაფანგები დაცულ ტერიტორიებზე

გვ. 6 დაიგეგმება და განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ფუტკრის დაავადება ტროპილელაფსოზის ეფექტიან მართვას ისახავს მიზნად

გვ. 13 მწვანე ოპერაციები და მისი როლი ხარისხიანი ყურძნის საწარმოებისთვის

გვ. 14 ნუშის ბაღში გავრცელებული სარეველები

გვ. 7 წარმატების ისტორიები!

გვ. 8-9 ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე

გვ. 16 საქართველოს ბიომრავალფეროვნება

• ჩვეულებრივი ანკარა • კავკასიური სალამანდრა • ბოხმეჭა • ჭრელტყავა

26 მაისი
ეს დღე ჩვენია

26 მაისის აღნიშვნის ღონისძიების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სტუმრებს სამ ლოკაციაზე - ქ. თელავში, ქ. ქუთაისსა და ქ. ახალციხეში უმასპინძლა.

- ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ ქუთაისში წარმოდგენილი იყო კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო“.
- დაცული ტერიტორიების სააგენტო ქალაქ ახალციხეში, რაბათის ციხის ტერიტორიაზე მისულ სტუმრებს სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ აქტივობას სთავაზობდა.
- სოფლის განვითარების სააგენტო მოქალაქეებს ქ. თელავში ცენტრალურ მოედანზე მასპინძლობდა. ღონისძიების სტუმრები სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარების მიერ წარმოებულ პროდუქციას გაეცნენ და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებას დაესწრნენ.

ქალაქი ქუთაისი

ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ ქუთაისში იყო წარმოდგენილი კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო“.

ღონისძიებაში იმერეთის რეგიონის 11 ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. ბალახვანის ისტორიულ უბანში, საზეიმოდ მოწყობილ სივრცეში წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ვიზუალური და საინფორმაციო მასალა, მათ შორის, იმერეთის რეგიონის ღვინისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება; „სომელიეს კუთხეში“ სომელიე ანტონ ხეცურიანი სტუმრებს საუკეთესო იმერულ ღვინოებს აცნობდა. მიმდინარეობდა ქართული ღვინის გამოფენა-გაყიდვა; ბავშვებისთვის მოწყობილი იყო შემეცნებით-გასართობი სივრცე. ღონისძიების ფარგლებში, გამოფენილი იყო სამხედრო ტექნიკა. გაიმართა ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

17:10 სთ-ზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო საზეიმოდ აღინიშნა - ქუთაისის იოსებ კეჭაყმაძის სახელობის კამერულმა გუნდმა საქართველოს ჰიმნი შეასრულა.

ღონისძიება დღის ბოლოს გალაკონცერტით დასრულდა.

ქალაქი თელავი

სოფლის განვითარების სააგენტომ 26 მაისი ქ. თელავში აღნიშნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტომ მოქალაქეებს ქ. თელავში ცენტრალურ მოედანზე უმასპინძლა.

ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარების მიერ წარმოებულ პროდუქციას, მოეწყო ქართული ღვინის სადეგუსტაციო კუთხე და ჩატარდა კახური ტრადიციული კერძების კულინარიული მასტერკლასი. ღონისძიების ფარგლებში, ასევე მოეწყო ბავშვებისათვის შემეცნებითი სივრცე, კოსტიუმირებული მსახიობების მსვლელობა; გაიმართა საბავშვო სპექტაკლი; გამოფენილი იყო თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკა; სამახსოვრო ფოტოების გადასაღებად მოწყობილი იყო ფოტოზონა; საგამოფენო სივრცეში დამთვალიერებელს დახვდა უძველესი სამუზეუმო ექსპონატების ასლების გამოფენა „საქართველო ღვინის სამშობლო“.

17:10 სთ-ზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო, საზეიმოდ აღინიშნა.

ღონისძიება საზეიმო კონცერტით დასრულდა.

ქალაქი ახალციხე

დაცული ტერიტორიების სააგენტო ქალაქ ახალციხეში, რაბათის ციხის ტერიტორიაზე მისულ სტუმრებს სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ აქტივობას სთავაზობდა.

დაცული ტერიტორიების სააგენტო რამდენიმე თემატიკით იყო წარმოდგენილი - შემეცნებითი, გასართობი, კულტურული და საგამოფენო. სპეციალურად მოწყობილ სივრცეში, სტუმრებს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვირტუალური მოგზაურობის შესაძლებლობა ჰქონდათ; წარმოდგენილი იყო საქართველოს დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების საინფორმაციო სტენდები. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი გამორჩეულია ბუნებრივი მრავალფეროვნებით, რამაც განაპირობა დაცული ტერიტორიების სიმრავლე, მათ შორისაა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ჯავახეთის დაცული ტერიტორიები და ერუშეთის ეროვნული პარკი.

მთელი დღის განმავლობაში, რაბათის ციხის ტერიტორიაზე მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენები, საბავშვო-გასართობი აქტივობები იმართებოდა; გამოფენილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქცია.

17:10 საათზე, იმ დროს, როდესაც 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს ეროვნული ჰიმნი შესრულდა. საზეიმო ღონისძიებები გალაკონცერტით დასრულდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში იმყოფებოდა

უნგრეთში ვიზიტის ფარგლებში, დავით სონღულაშვილი უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს იშტვან ნაძს და ენერგეტიკის მინისტრს ჩაბა ლანტოს შეხვდა. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

უნგრეთში ვიზიტის შეჯამების დროს, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთი საქართველოს მტკიცე პარტნიორია ევროინტეგრაციის გზაზე.

„ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე მტკიცედ იყო დადასტურებული უნგრეთის მხარდაჭერა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, გაზიარებული და ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად გამოყენებული იყოს მათი გამოცდილება, მათ მიერ განვლილი გზა ევროინტეგრაციისკენ.

შეხვედრებზე ხაზგასმული იყო დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების და, რა თქმა უნდა, ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის პოტენციალის გამოყენების საკითხები. ჩვენ განვიხილეთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მნიშვნელობა. უნგრულმა მხარემ აღგვითქვა მტკიცე მხარდაჭერა როგორც სავაჭრო ურთიერთობებში, ასევე ევროინტეგრაციის გზაზე“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

უნგრეთში ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე, უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თამარ ლილუაშვილი და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი გიორგი დარჩია ესწრებოდნენ.

შეხვედრა უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრ იშტვან ნაძთან

უნგრეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე მხარეებმა დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების ახალი შესაძლებლობები განიხილეს.

დავით სონღულაშვილმა უნგრეთთან გამორჩეული პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და უნგრელ კოლეგას ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების, ასევე, საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. უნგრეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების საკითხზე საუბრისას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული პროდუქტებისთვის ევროკავშირის ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

„ჩვენს ქვეყნებს თანამშრომლობის დიდი პოტენციალი აქვთ - სოფლის მეურნეობის ინოვაციებიდან და ვაჭრობიდან დაწყებული, გარემოს მდგრადობაზე ზრუნვით დასრულებული. ჩვენს შორის არსებული საერთო ინტერესები მრავალი შესაძლებლობის საფუძველს ქმნის. არსებული პარტნიორობის გაღრმავებით და ჩვენი უნიკალური ძლიერი მხარეების ეფექტიანად გამოყენებით, შეგვიძლია მივაღწიოთ შთამბეჭდავ შედეგებს, რომლებიც სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყნებს და ხალხს“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრმა უნგრელ კოლეგასთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა საქართველოდან უნგრეთში აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებით სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობას.

უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა იშტვან ნაძმა დავით სონღულაშვილს უნგრეთში ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.

„მოხარული ვარ ჩემს ქართველ კოლეგასთან შეხვედრით. შეხვედრაზე განვიხილეთ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი, ასევე, შევეხეთ სატყეო სექტორის და ირიგაციის საკითხებს. ჩვენ განვიხილეთ ვაჭრობის შესაძლებლობები, ასევე, თუ როგორი შეიძლება იყოს უნგრეთის მხრიდან დახმარება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. განვიხილეთ საქართველოსთან პარტნიორობის საკითხები რეგიონში ვაჭრობის და ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით“, - განაცხადა იშტვან ნაძმა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა უნგრელი კოლეგა საქართველოში მოიწვია.

შეხვედრა უნგრეთის ენერგეტიკის მინისტრ ჩაბა ლანტოსთან

შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ და სამომავლო თანამშრომლობის, მათ შორის გარემოს დაცვის მიმართულებით გაღრმავების საკითხებზე იმსჯელეს.

„გარემოს დაცვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. გაზრდილმა საბიუჯეტო დაფინანსებამ და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებამ ხელშესახები შედეგები მოგვიტანა როგორც საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან დაახლოების, ასევე სამართლებრივი

ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით. საქართველო აქტიურად ახორციელებს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს. ასევე, მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს ადრეული გაფრთხილების სისტემების დამონტაჟებისა და გაფართოების კუთხით", - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა წყლის მართვის სისტემის მოწყობის და ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის მიმართულებებით უნგრეთის გამოცდილების გაზიარების საკითხს, რომელიც მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ევრორეგულაციების პრაქტიკული განხორციელებისთვის.

„საქართველოს პარლამენტმა 2023 წელს დაამტკიცა წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონი. კანონი ინტეგრირებული წყლის რესურსების მართვის პრინციპებს ემყარება და ევროკავშირის წყლის კანონმდებლობის მოთხოვნებს შეესაბამება. ვცდილობთ, შევქმნათ ძლიერი წყლის მართვის სისტემა, რაც წყლის რესურსების ეფექტიან და მდგრადად გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს. უნგრეთის გამოცდილება ძალიან სასარგებლო იქნება ჩვენთვის ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივისა და შესაბამისი დირექტივების პრაქტიკული განხორციელების კუთხით", - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

უნგრეთის მხარემ მზადყოფნა გამოთქვა საქართველოსთან თანამშრომლობისთვის როგორც ინსტიტუციური განვითარების, ისე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის განხორციელების, ინვესტიციების მოზიდვისა და წარმოების განვითარების მიმართულებით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის წევრებსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელ რაიმუნდ იელეს შორის ბუდაპეშტში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

უნგრეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი და მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რეგიონული ოფისის ხელმძღვანელს ევროპის და ცენტრალური აზიის მიმართულებით რაიმუნდ იელეს შეხვდნენ.

მინისტრის პირველმა მოადგილემ FAO-სა და სამინისტროს შორის ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას წლების განმავლობაში მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

როგორც მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, FAO-ს მხარდაჭერით საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი არაერთი პროექტი ხორციელდება.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების, სურსათის წარმოების ზრდის და სოფლად სიღარიბის დაძლევის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე, მიწის კონსოლიდაციის მხარდაჭერის საკითხებს.

რაიმუნდ იელეს განცხადებით, საქართველო FAO-სთვის რეგიონში მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელიც საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის, სურსათის უვნებლობის განვითარების და სასურსათო სისტემების გარდაქმნის მხარდაჭერას აქტიურად აგრძელებს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ ოფისში გამართულ შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი გიორგი დარჩია ესწრებოდა.

აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვინის შოუ - V is for Vino ქართული ღვინის შესახებ ვრცელ სიუჟეტს ამზადებს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ღვინის შოუს „V is for Vino" გადამღები ჯგუფის წევრებს შეხვდა. მედიის წარმომადგენლები ქართული ღვინის შესახებ ვრცელ სიუჟეტს ამზადებენ, რომელიც წლის ბოლოს, „V is for Vino" ყველა პლატფორმაზე - ოფიციალურ გვერდზე, სოციალური მედიის არხებზე, საკაბელო ტელეარხზე-ReachTV და ამერიკის მასშტაბით 90-ზე მეტ აეროპორტში განთავსდება (https://visforvino.com/).

„ბოლო წლების განმავლობაში, აშშ-ში ქართული ღვინის ექსპორტი სტაბილურად მზარდია. შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრისთვის მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიების წარმოება განსაკუთრებით საჭიროა ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისთვის. მოხარული ვარ, რომ ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით სწორედ "V is for Vino"-მ იმუშავა საქართველოში ამ მიმართულებით და მთელი ქვეყნის მასშტაბით ინტენსიური გადაღებების შემდეგ, მისი ყველა პლატფორმის საშუალებით შეიტყობს აშშ-ს მოსახლეობა ქართული ღვინის კულტურის შესახებ," - აღნიშნა მინისტრმა შეხვედრაზე.

გადამღები ჯგუფის წევრები ღვინის მარნებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწვივნენ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მუშაობის პროცესი საკმაოდ ნაყოფიერი და საინტერესო გამოვიდა.

ქართული ღვინის შესახებ სიუჟეტს ასობით ათასი მაყურებელი გაეცნობა, რაც იძლევა დამატებით შესაძლებლობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ქართული ღვინის პოზიციები გამყარდეს.

აშშ-ში დაგეგმილი მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" მხარდაჭერით, ღვინის შოუს „V is for Vino" გადამღები ჯგუფი საქართველოში ერთი კვირა იმყოფებოდა.

აღსანიშნავია, რომ აშშ ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2013 წლიდან ახორციელებს მიზანმიმართულ მარკეტინგულ აქტივობებს. ბოლო წლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, გაძლიერდა სარეკლამო კამპანიები ისეთ გავლენიან მედია საშუალებებთან, როგორიც არის CBS, CNN, „The New York Times", „Wine Enthusiast", რამაც აშშ-ში ქართული ღვინის გაყიდვების ზრდა განაპირობა. 2024 წელს ექსპორტმა ისტორიულ მაქსიმუმს - 1,2 მილიონ ლიტრს მიაღწია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 32%-ით აღემატება.

საქართველოში სამუშაო ვიზიტით ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალური დირექტორი ჯონ ბარკერი იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში ჯონ ბარკერმა მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია (OIV) წარმოადგენს საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელშიც 51 ქვეყანა, მათ შორის საქართველოა გაწევრიანებული. ორგანიზაცია არეგულირებს ვაზისა და ღვინის სექტორს, ადგენს შესაბამის სტანდარტებს, ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებაში.

დავით სონღულაშვილი: „OIV-ის მხარდაჭერით, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტ საინტერესო პროექტს განვახორციელებთ“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს, ჯონ ბარკერს შეხვდა.

მხარეებმა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, მსოფლიო მასშტაბით ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის და ბაზრების დივერსიფიკაციის საკითხებზე იმსჯელეს.

დავით სონღულაშვილმა მადლობა გადაუხადა OIV-ის გენერალურ დირექტორს მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და ერთობლივი პროექტების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„შეხვედრაზე განვიხილეთ შემდგომი თანამშრომლობის საკითხები; აგრეთვე, როგორ შეიძლება ქართული ღვინის ცნობადობის მეტად გაზრდა. ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) მხარდაჭერით, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტ საინტერესო პროექტს განვახორციელებთ, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას და მის დამკვიდრებას საერთაშორისო ბაზრებზე“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ჯონ ბარკერმა მჭიდრო პარტნიორობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან კარგად მუშაობს ღვინის ხარისხის, ვენახების ფართობის და ექსპორტის გაზრდის მიმართულებებით.

„საქართველო ღვინის აკვანია; ეს არის ქვეყანა, სადაც ღვინო არა მხოლოდ ეკონომიკური რესურსია, არამედ ისტორიისა და კულტურის ნაწილი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი აქტიური მონაწილეობა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციაში (OIV). თქვენ ძალიან კარგად მუშაობთ ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ვენახების ფართობის ზრდასა და ქართული ღვინის საერთაშორისო აღიარებაზე“, - განაცხადა ჯონ ბარკერმა.

სამინისტროში გამართულ შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა და მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე ესწრებოდნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან მეხუზლას განცხადებით, ჯონ ბარკერი ღვინის პროფესიულ წრეებში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა, რომლის მხარდაჭერაც ქართულ ღვინისადმი არაერთხელ გამხდარა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წინაპირობა

„OIV-ის საქმიანობა მოიცავს ღვინის წარმოების შესახებ რეკომენდაციების გაცემას, დარგში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, ხარისხიანი წარმოების ხელშეწყობას და ღვინის ბაზრების გაძლიერებას; ორგანიზაციის გენერალური მდივნის ვიზიტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული ღვინის რეპუტაციის კიდევ უფრო განმტკიცებაში და უკეთ წარმოაჩენს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, მიღწევებს და პოტენციალს“, - აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ჯონ ბარკერი ღვინის მარნებს ქართლსა და იმერეთში ეწვია, სადაც ქართული ღვინის დამზადების ტრადიციებსა და კულტურას გაეცნო.

OIV-ის გენერალურ დირექტორი ჯონ ბარკერი: „საქართველო წარმოადგენს ვაზის გენეტიკური მრავალფეროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას მსოფლიოში“

ჯონ ბარკერი სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზას ესტუმრა. OIV-ის გენერალურ დირექტორს მასპინძლობა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის დირექტორმა, ლევან უჯმაჯურიძემ გაუწია და ქართული ვაზის გენეტიკური რესურსების დაცვისა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიმართულებით მიმდინარე სამუშაოები გააცნო.

„ჩვენ დეტალურად განვიხილეთ ის სამუშაოები, რომელსაც ცენტრი მცენარეთა გენეტიკური რესურსების დაცვასა და ქართული ვაზის პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს. მიგვაჩნია, რომ ეს შეხვედრა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია სამომავლო თანამშრომლობისთვის“, - აღნიშნა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ.

ჯონ ბარკერმა ჯიღაურას ბაზაზე არსებული ვაზის კოლექცია დაათვალიერა, გაეცნო ქართული ვაზის აღდგენილ ჯიშებსა და იშვიათი ჯიშებისგან დაყენებული ღვინოები დააგემოვნა.

„საქართველო წარმოადგენს ვაზის გენეტიკური მრავალფეროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას მსოფლიოში. ეს მემკვიდრეობა უნიკალურია გლობალურ კონტექსტშიც. მოხარული ვარ, რომ ის არა მხოლოდ სათანადოდ არის დაცული, არამედ აქტიურად ვითარდება. ცენტრის საქმიანობა - ვაზის გენეტიკური რესურსების შესწავლა, ჯიშების აღდგენა

და კონსერვაცია - განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია როგორც ქვეყნისთვის, ისე საერთაშორისო მევენახეობისთვის“, - აღნიშნა ჯონ ბარკერმა.

გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ქართული ვაზისა და ღვინის ცნობადობის გაზრდასა და სამეცნიერო პარტნიორობის გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

დავით სონღულაშვილი ევროპასა და ცენტრალურ აზიაში გაეროს რეგიონულ დირექტორს შეხვდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ევროპასა და ცენტრალურ აზიაში გაეროს რეგიონულ დირექტორს გვი იოპ სონს შეხვდა.

მხარეებმა საქართველოსთვის გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტის შექმნაზე იმსჯელეს.

დოკუმენტი 2026-2030 წლებში ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგიულ მიმართულებებს განსაზღვრავს. მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში სამინისტროს ჩართულობასთან დაკავშირებით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა გაეროს განვითარების თანამშრომლობის ოფისს მრავალწლიანი და ნაყოფიერი პარტნიორობისთვის მადლობა გადაუხადა.

„გაერო მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის მდგრად განვითარებას. შეხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მზადყოფნას, უფრო გავაღრმავოთ სტრატეგიული პარტნიორობა და შევქმნათ თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

გაეროს განვითარების თანამშრომლობის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა გვი იოპ სონიმ ყურადღება გაამახვილა ნახშირბადის ემისიების შემცირების მნიშვნელობაზე და კლიმატის ცვლილების კუთხით შესაძლო თანამშრომლობაზე.

„აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი დიდია. გაერო მზად არის გააგრძელოს მხარდაჭერა საქართველოს როგორც გარემოს დაცვის, ასევე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის“, - განაცხადა გვი იოპ სონიმ.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე, სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახურების და გაეროს განვითარების თანამშრომლობის ოფისის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ახალი დაცული ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობების შეფასება იწყება



გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, დაახლოებით 21 000 ჰექტარზე კვლევითი სამუშაოების განხორციელება იწყება. სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის ჩართულობით, საველე სამუშაოები დაახლოებით 7 თვის განმავლობაში გაგრძელდება. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავს ზუსტად შეფასდეს ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტი და სხვა ბუნებრივი ფასეულობები, რათა კახეთის რეგიონში, დამატებით, ახალი დაცული ტერიტორიების დაარსების შესაძლებლობები განისაზღვროს.

აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების შექმნა ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რეგიონში ეკოტურიზმის განვითარებას, საერთაშორისო დონეზე მის პოპულარიზაციას, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

2025 წლის მდგომარეობით, საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 927 748 ჰექტარს შეადგენს, რაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 13.3%-ია. დღეისათვის, საქართველოში 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცული ტერიტორიაა.

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მიმდინარე წლის 4 თვის ანგარიში

2025 წლის 21 აპრილის მონაცემებით, 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნებში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 9.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა

2025 წლის 21 აპრილის მონაცემებით, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 19%-ით, 9.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 56.9 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ზრდა ძირითადად თხილის, ხილისა და ბოსტნეულის წვენების, ასევე ღვინის ექსპორტმა განაპირობა.

თხილის ექსპორტის ღირებულება 5.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 19.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხილისა და ბოსტნეულის წვენების 4.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 5.7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ღვინის ექსპორტი 2.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 11.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ექსპორტი 43%-ით, 4.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რაც ძირითადად ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტით არის გამოწვეული, რომლის ღირებულებაც 4.3 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი და 5.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

იტალიაში ექსპორტმა 3.2-ჯერ მოიმატა, რაც ძირითადად თხილის ექსპორტის ზრდას უკავშირდება. თხილის ექსპორტის ღირებულება 4.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 5.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა აზერბაიჯანის ბაზარზე. ექსპორტი 10%-ით, 4.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

ზრდა ძირითადად უალკოჰოლო გაზიანი სასმელებისა და კარტოფილის ექსპორტმა განაპირობა, რომლის ღირებულებამ შესაბამისად, 9.0 და 3.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გარდა ამისა, ღვინის ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ჩინეთში. ექსპორტის ღირებულება 1.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 3.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ფუტკრის დაავადების ტროპილელაფსოზის მართვის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ერთობლივად დაიგეგმება და განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც დაავადების ეფექტიან მართვას, მათ შორის, გავრცელების მინიმიზაციას ისახავს მიზნად.

აღინიშნა, რომ მეფუტკრე-ფერმერები სამუშაო ჯგუფის ფორმატში მუშაობას მიესალმებიან და გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისე დარგობრივ ასოციაციებთან და სამეცნიერო წრეებთან არა მხოლოდ ტროპილელაფსოზის წინააღმდეგ ბრძოლის, არამედ მეფუტკრეობის დარგის განვითარების მიმართულებით.

დასავლეთ საქართველოს მეფუტკრეთა ალიანსის წევრმა გიორგი ლაკვეხელიანმა, რომელსაც 300 ფუტკრის ოჯახი ჰყავს, შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაავადების მართვის მთავარ გამოწვევად მისი დროული აღმოჩენა რჩება.

„გასული წლის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ტროპილელაფსოზი მართვადია, თუ მეფუტკრეები მას დროულად აღმოაჩენენ, ერთს მაინც თუ გამოავლენენ, ჩათვალეთ, რომ პრობლემა აღარ არის, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ზოოტექნიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებებით თავისუფლად შეგვიძლია პროცესი ვმართოთ“, - განაცხადა გიორგი ლაკვეხელიანმა.

კომპანიის „მეთაფლია“ დამფუძნებლის, როლანდ ზირაქაშვილის თქმით, მეფუტკრე ფერმერებთან კოორდინირებული მუშაობა და დროული რეაგირება ქმნის შესაძლებლობას, თავიდან იქნეს აცილებული საფუტკრეების მასობრივი დაზიანება.

„დღეს უკვე გვაქვს საჭირო პრეპარატები და ვიცით, როგორ ვიმოქმედოთ როგორც ქიმიური, ასევე ზოოტექნიკური მეთოდებით. მზად ვართ დაავადებას ეფექტიანად ვუპასუხოთ“, - განაცხადა როლანდ ზირაქაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ტროპილელაფსოზის სავარაუდო შემთხვევების დაფიქსირების შემდეგ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ეპიდემიოლოგიური მოკვლევა განახორციელა. ფუტკრის ოჯახებს ჩაუტარდა კლინიკური დათვალიერება და აღებული ნიმუშები გაიგზავნა როგორც სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში, ასევე საფრანგეთში მდებარე რეფერალურ ლაბორატორიაში. დაავადების იდენტიფიკაციის, მართვის სტრატეგიებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ შემუშავდა საინფორმაციო მასალები, რომლებიც მეფუტკრეებს უკვე დაურიგდათ.

ვაშლის ბაღები და სამაცივრე მეურნეობა სოფელ ძევერაში

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერაში კომპანიამ „აგრო ქართლი“, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების მხარდაჭერით, 10 ჰექტარზე ვაშლის ბაღი გააშენა და თანამედროვე სამაცივრე მეურნეობა მოაწყო.

„სოფლის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობა დავიწყეთ მაშინვე, როცა გადავწყვიტეთ ხეხილის ბაღების გაშენება. პირველი მოსავლის მიღების შემდეგ, საჭიროება დაგვიდგა გაგვეკეთებინა სამაცივრე მეურნეობა. სააგენტოს ხელშეწყობით, მოვაწყეთ 500 ტონა ტევადობის სამაცივრე მეურნეობა“, – აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი მურაზ ღოლიჯაშვილი.

მისივე თქმით, სამაცივრე მეურნეობის არსებობით შესაძლებელი გახდა მოსავლის ხანგრძლივად შენახვა და რეალიზაციის პროცესის უკეთ დაგეგმვა.

მურაზ ღოლიჯაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პროგრამებმა მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მოტივაცია: „ეს პროექტები ხელს უწყობს ფერმერთა შრომის დაფასებას, რაც მათთვის დიდი სტიმულია“.

ხილის გადამმუშავებელი საწარმო სოფელ გორდში

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში, კომპანიამ „გორდული“, სოფლის განვითარების სააგენტოს „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის მხარდაჭერით, ხილის გადამმუშავებელი საწარმო შექმნა. საწარმოში, სადაც 27 ადგილობრივია დასაქმებული, სხვადასხვა სახის ნუგბარი მზადდება.

კომპანიის „ გორდული“ დამფუძნებლის გია ღაჭავას თქმით, სოფელ გორდში არსებული ნიადაგური და კლიმატური პირობები უნიკალურს ხდის წარმოებულ პროდუქტს, რაც გამოარჩევს მას გემოვნური და ხარისხობრივი ნიშნით. საწარმოში სხვადასხვა სახეობის პროდუქცია მზადდება - ხურმის ჩირი, ჩურჩხელა, ხილის ტყლაპი, მურაბები.

„ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად შესაძლებელია მცირე მასშტაბით დაიწყო საქმე და ეტაპობრივად, თანმიმდევრულად გააფართოვო წარმოება“, - აღნიშნავს გია ღაჭავა.

თანამედროვე სამაცივრე მეურნეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანეთში, კომპანია „მზიანი მოსავალი“ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანით არის დაკავებული. ძირითადი პროდუქცია კარტოფილი და ხახვია. მოსავლის ეფექტური შენახვის მიზნით, კომპანიამ სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით, ააშენა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამაცივრე მეურნეობა. სამაცივრე კომპლექსი აღჭურვილია ვენტილაციისა და გაგრილების თანამედროვე სისტემებით.

„დამხარისხებელი ხაზისა და სამაცივრე მეურნეობის საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია პროდუქცია დავახარისხოთ და იდეალურ პირობებში შევინახოთ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დანაკარგებს და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის შენარჩუნებას. ჩვენ მიერ მოყვანილი კარტოფილი მიეწოდება ქართული ჩიფსების მწარმოებელ კომპანიას, ჭარხალი და ხახვი - ადგილობრივ ბაზრებს, პროდუქცია გადის ექსპორტზეც. მომავალში ვგეგმავთ, სამაცივრე მეურნეობის გაფართოებას და ნათესი ფართობების გაზრდას”, - აღნიშნავს ნიკოლოზ ღავთაძე.

სამაცივრე მეურნეობა, სარწყავი სისტემები და არსებული ტექნიკის დიდი ნაწილი შეძენილია ლიზინგით, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით.

კახეთში 350 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

სოფლების - აკურისა და ვანთის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები ჩატარდა. დანალექი გრუნტისა და ხე-მცენარეებისგან მაგისტრალური არხის 2,5 კმ სიგრძის მონაკვეთი გაიწმინდა.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც წყლის შეუფერხებლად გადინებას უწყობს ხელს. შედეგად, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 6 სოფლის (აკურა, ვანთა, კახიფარი, ვაჩნაძიანი, კალაური, შაშიანი) დაახლოებით 350 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები საქართველოს მელიორაციამ საკუთარი ძალებით განახორციელა.

შიდა ქართლში 200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა

წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, სოფლების ვარიანისა და შინდისის ტერიტორიაზე მცენარეებისა და შლამისგან 2 კილომეტრი სიგრძის სარწყავი არხი გაიწმინდა.

აღდგენილი საირიგაციო არხის მეშვეობით, სოფლების ვარიანისა და შინდისის მოსახლეობა ისარგებლებს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2,6 კილომეტრი სიგრძის სადრენაჟე არხებზე გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა

სოფელ გორაბერეჟეულში, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან, 2,6 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები გაიწმინდა.

ჩატარებული სამუშაოები არხებში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდა, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას შეუწყობს ხელს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 3 კილომეტრი სიგრძის სადრენაჟე არხებზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები კაპროვანის დამშრობ მასივზე მიმდინარეობს.

სოფელ ნატანებში ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან, ჯამში, 3 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები კოლექტორებში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, 25 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს, დასრულების ეტაპზეა.

აშშ-ის უმსხვილეს სუპერმარკეტების ქსელში „H-E-B“ ქართული ღვინის დეგუსტაციები გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და პარტნიორი ამერიკული კომპანიის „A.G. Global Trade LLC“ ორგანიზებით, აშშ-ს ქალაქ ჰიუსტონში, უმსხვილეს სუპერმარკეტების ქსელში „H-E-B“ ქართული ღვინის 27 დეგუსტაცია გაიმართა.

თითოეული ღონისძიების ფარგლებში, სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო 5 სახეობის ქართული ღვინო, ასევე, საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს და განვითარებული მეღვინეობის მქონე ქვეყნის შესახებ პრეზენტაციები. მომხმარებელზე ორიენტირებული მსგავსი ფორმატის ღონისძიებების მიზანია, ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიცირება და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა.

მაღაზიათა ქსელი „H-E-B“, რომელიც დაფუძნებულია ტექსასის შტატში, აშშ-ის უმსხვილესი კომპანიების სიაში შედის და მოიცავს 400-ზე მეტ მაღაზიას ტექსასსა და მექსიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2013 წლიდან განხორციელებულმა მიზანმიმართულმა მარკეტინგულმა აქტივობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის და ექსპორტის ზრდას. 2024 წელს, ექსპორტმა ისტორიულ მაქსიმუმს - 1,2 მილიონ ლიტრს მიაღწია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 32%-ით აღემატება.

აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, აშშ-ში, კოლუმბიის უნივერსიტეტის ღვინის კლუბში, ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებას, რომელზეც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ღვინის კომპანიის ექვსი სახეობის ღვინო საქართველოს მევენახეობის რეგიონებიდან, 70-მდე სტუდენტი დაესწრო. დეგუსტაციაზე დააგემოვნეს როგორც ქვევრის, ისე კლასიკური წესით დაყენებული ღვინოები; განსაკუთრებული მოწონება და ინტერესი წითელმა ღვინოებმა დაიმსახურა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის ღვინის კლუბში 300-მდე წევრია. ქართული ღვინის წარდგენა ღვინის პროფესიონალებისა და დაინტერესებული დამსწრეების წინაშე, ქმნის დამატებით შესაძლებლობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობა გაიზარდოს და პოზიციები გამყარდეს.

აღსანიშნავია, რომ აშშ ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2013 წლიდან განხორციელებულმა მიზანმიმართულმა მარკეტინგულმა აქტივობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის და ექსპორტის ზრდას. 2024 წელს, ექსპორტმა ისტორიულ მაქსიმუმს - 1,2 მილიონ ლიტრს მიაღწია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 32%-ით აღემატება.

ნორვეგიაში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ დეგუსტაციაზე, ქართული ღვინის მწარმოებელი 14 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღონისძიებას ადგილობრივი სომელიეები, ღვინის ექსპერტები, მედიისა და ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. აღნიშნული ფორმატის ღონისძიება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ღვინის ცნობადობის ზრდას სკანდინავიის ღვინის ბაზარზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია წარმოადგენს.

სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში ახორციელებს.

სკანდინავიის ქვეყნებში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მარკეტინგული აქტივობების განხორციელება აღნიშნულ ბაზარზე 2022 წლიდან აქტიურად დაიწყო. ნორვეგიაში, შვედეთსა და დანიაში, 2022-2024 წლებში, ქართული ღვინის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილი რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის, დეგუსტაცია-პრეზენტაციები და სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენებები გაიმართა; ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობდნენ საერთაშორისო გამოფენებში „RAW WINE“ (კოპენჰაგენი), Expovina (ციურიხი) და „Stockholm Food and Wine” (სტოკჰოლმი).

ქართული ღვინო იტალიაში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იტალიის ქალაქ ვერონაში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW WINE” 5 ქართული კომპანია მონაწილეობდა.

„RAW Wine” ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი.

გამოფენაზე „RAW Wine“ ქართული ქვევრის ღვინის წარდგენა მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, მცირე და საშუალო მარნების მიერ პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდისთვის.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2025 წელს, ქვევრის ღვინის მწარმოებელი მარნები „RAW Wine“-ის სხვადასხვა ქვეყნაში გამართულ გამოფენებში იღებენ მონაწილეობას.

ქართული ღვინის წარდგენა სლოვენიაში, ფესტივალზე „Orange Wine Festival“ გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 6 მარანი სლოვენიის რესპუბლიკის ქალაქ იზოლაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების საერთაშორისო ფესტივალზე „Orange Wine Festival“ მონაწილეობდა.

„Orange Wine Festival“ 2012 წელს დაარსდა. ფესტივალი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

საერთაშორისო ფესტივალზე ქართული ღვინის მარნების მონაწილეობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ღვინო ფართო მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც მომხმარებლების, ისე ღვინის საერთაშორისო ექსპერტებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების წინაშე.

ფესტივალს 70-ზე მეტი მეღვინე დაესწრო შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, სლოვენია, ხორვატია, ავსტრია, იტალია, უნგრეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, ჩინეთი.

ქართველმა მეწარმეებმა მხარდაჭერა სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსგანაც მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს.

სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ინტენსიურად ახორციელებს.

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „ProWein Tokyo“ ქართული ღვინის მწარმოებელი 9 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენას „Prowine Tokyo 2025” 50 ათასამდე ვიზიტორი სტუმრობდა, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები და კომერციული სფეროს წარმომადგენლები, რაც მნიშვნელოვანია იაპონიაში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისთვის, ბაზარზე დამკვიდრებისა და სავაჭრო პარტნიორების მოძიებისთვის.

„ProWein Tokyo“-ს იაპონიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეიმურაზ ლეჟავა დაესწრო. გამოფენაზე ღვინის წარსადგენად, ქართველმა მეწარმეებმა მხარდაჭერა იაპონიაში საქართველოს საელჩოსგანაც მიიღეს.

ტოკიოში ასევე, გაიმართა ქართული ღვინის საგანმანათლებლო მასტერკლასი და დეგუსტაცია, რომელსაც 30 ღვინის პროფესიონალი, მედიის და კომერციული სექტორის წარმომადგენელი დაესწრო. დეგუსტაციას უძღვებოდა საფრანგეთის ღვინის აკადემიის (Academie du Vin) ექსპერტი ფრედერიკ კაიუე (Frederic Cayuela), რომელიც იაპონიის ღვინის სფეროშიც მოღვაწეობს და იაპონურ კომპანიას „Oteroirs K.K.” წარმოადგენს. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახეობის 7 ქართული ღვინო.

იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს გაიმართა. შემდგომ წლებში, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობდნენ გამოფენებში - „Foodex Japan“, „Wine and Gourmet Japan“, „RAW Wine Tokyo”, „ProWein Tokyo”, ადგილობრივ ღვინის კონკურსებში, ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციებში, რომლებიც იაპონიის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა; პარალელურად, მოეწყო იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების ტურები საქართველოში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები უწყვეტად ახორციელებენ ხარისხის მონიტორინგს, რათა ათეულ მილიონობით ლიტრი ქართული ღვინო საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, იყოს კონკურენტუნარიანი და მასზე მოთხოვნა კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს.

2025 წლის პირველ კვარტალში 41 კომპანიაში ჩატარებული ინსპექტირების შედეგად, რაც სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს, დარღვევა 3 კომპანიის 5 ნიმუშში აღმოჩნდა.
გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების „Bureau Veritas“ და „SGS“-ის 29 კომპანიის ინსპექტირების შედეგად დარღვევა არ გამოვლენილა.
აღნიშნულ პერიოდში 88 კომპანიაში განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი, რაც საწარმოებში ღვინის ტექნოლოგიური პროცესის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს. აღებული 127 ნიმუშიდან, დარღვევა აღმოჩნდა 4 კომპანიის 4 ნიმუშში. ნიმუშების გარკვეულ ნაწილზე ლაბორატორიული კვლევები გრძელდება.
საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ჩატარდა 64 დეგუსტაცია. სადეგუსტაციოდ შემოსული 2931 ნიმუშიდან 2822 დადებითად, ხოლო 109 ნიმუში უარყოფითად შეფასდა. ნიმუშის ორგანოლეპტიკური ტესტირება ხდება ფერსა და გამჭირვალობაზე, ტიპურობაზე, დაავადებების არსებობაზე, არომატზე, გემოსა და ჰარმონიულობაზე.

საქართველოში რეგისტრირებულ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს „ლეჩხუმი“ და „რაჭა“ დაემატა

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 32-მდე გაიზარდა, რაც ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის.

საქართველოში დარეგისტრირებული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებია: ქინძმარაული, მანავი, კახეთი, ნაფარეული, თელიანი, მუკუზანი, წინანდალი, ახაშენი, გურჯაანი, ხვანჭკარა, ატენი, სვირი, ვაზისუბანი, კარდენახი, ტიბაანი, ტვიში, ყვარელი, კოტეხი, ხაშმის საფერავი, ბოლნისი, სალხინოს ოჯალეში, ახმეტა, წარაფი, ახოები, მაღრაანის ქისი, ოყურეშის უსახელოური, ზეგაანი, ასურეთული შალა, ოკამი, ობჩა, ლეჩხუმი და რაჭა.

აღნიშნული ღვინოების წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში, ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა.

ღვინო „ლეჩხუმი“
დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს ღვინო „ლეჩხუმი“ დაემატა

ცოლიკოური

ღვინო „ლეჩხუმი“ მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს თეთრი და ქარვისფერი. მიკროზონა მდებარეობს ლეჩხუმში და მოიცავს ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული რიონის, ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობების მევენახეობისათვის ხელსაყრელ ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების არეალს. ღვინო „ლეჩხუმი“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ შესაბამის მიკროზონაში მოწეული ცოლიკოურის ჯიშის ყურძნიდან. დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

ღვინო „ლეჩხუმის“ გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტი“ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მიმართა.

ღვინო „რაჭა“
დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს ღვინო „რაჭა“ დაემატა

„რაჭა“ წითელი მშრალი ღვინოა, ღია ლალისფრიდან მუქ ლალისფრამდე; რაჭის მიკროზონაში, ონისა და ამბროლაურის გარდა, შედის ამ ორი მუნიციპალიტეტის სოფლები: ხვანჭკარა, წესი, კვაცხუთი, სადმელი, ღვიარა, ბოსტანა, დიდი ჩორჯო, პატარა ჩორჯო, მეორე ტოლა, პირველი ტოლა, ჭრებალო, ქვემო ჭყვიში, ზემო ჟოშხა, ქვემო ჟოშხა, ქვიშარი, ღვარდია, ბარეული, ღადიში, ბაჯი, ბუგეული, საკეცია, ჯვარისა, იწა, ქვემო კრიხი, ახალსოფელი, გორი, ხიმში, აბანოეთი, ძირაგეული, მუხლი, ნიგვზარა, ზუდალი, შარდომეთი და სორი.

ღვინო „რაჭა“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ რაჭის მიკროზონაში მოწეული ალექსანდროულის და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნიდან. დასაშვებია 15%-მდე, ჯამურად, ამავე მიკროზონის კაბისტონის, ძელშავის და საფერავის ჯიშების გამოყენებაც.

ალექსანდროული

მუჯურეთული

გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტი“ მევენახეთა ასოციაციამ „ხვანჭკარა“ მიმართა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მარნეულსა და თბილისში პარკების მწარმოებელი კომპანიები შეამოწმა

ინსპექტირება გრძელდება
რა მიზანი აქვს მწარმოებლების შემოწმებას

გარემოს დაცვა საქართველოს მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ ფონზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეფექტური გარემოსდაცვითი კონტროლის განხორციელებას, რასაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს. ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, დეპარტამენტის წინაშე დასახული ამოცანებიდან ერთ-ერთი უმთავრესი, პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლია, რასაც დეპარტამენტი რეგულარულად ახორციელებს.

რა ზიანს აყენებს პლასტიკის პარკები გარემოს

პლასტიკის პარკები ძირითადად მზადდება პოლიეთილენისგან - სინთეზური მასალისგან, რომელიც წარმოიქმნება ნავთობპროდუქტების დამუშავებით. ისინი იაფი და მსუბუქია, მაგრამ ძალიან გამძლე და სწორედ ეს გამძლეობაა მთავარი საფრთხე გარემოსთვის. პლასტიკის პარკი არ იხრწნება ბუნებრივად და ნაგავსაყრელზე, მდინარეში, ტყესა თუ ზღვაში საუკუნეების განმავლობაში რჩება. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად ზღვებსა და ოკეანეებში 11 მილიონ ტონამდე პლასტიკატი ხვდება. პლასტიკის პარკები არღვევს ეკოსისტემას, იჭედება თევზების, ზღვის კუს, ფრინველების ორგანიზმში და იწვევს მასობრივ სიკვდილს. მიწაში მოხვედრისას კი, პლასტიკის პარკი ხელს უშლის ნიადაგის ბუნებრივ განახლებას, წყლის ჩაჭრას და მცენარეთა ზრდას.

პლასტიკები შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც ჰორმონულ სისტემას აზიანებს, აძლიერებს ონკოლოგიური დაავადებების, უშვილობისა და ნევროლოგიური პრობლემების რისკს. პლასტიკის პარკის წვის დროს კი, გამოიყოფა სხვადასხვა სახის კანცეროგენური ნივთიერება, რაც იწვევს რესპირატორულ დაავადებებს, კიბოსა და გულის პრობლემებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში პლასტიკის პარკების წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის აკრძალვის შესახებ. ევროკავშირმა კი, 2021 წლიდან დაიწყო ერთჯერადი პლასტიკატების, მათ შორის პარკების აკრძალვა.

კონტროლი საქართველოში

2018 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება N472, რომელიც მოიცავს ტექნიკურ რეგლამენტს - პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის შესახებ. დადგენილების ამოქმედებიდან, საქართველოში გარკვეული სისქის პოლიეთილენის პარკების წარმოება აიკრძალა. 2019 წლიდან კი სრულად აიკრძალა არაბიოდეგრადირებადი პარკების წარმოება, გამოყენება და იმპორტი. ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების მიზანია პლასტიკის პარკების მოხმარებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გამოწვეული მავნე ზემოქმედების შემცირება.

დღეს, საქართველოში დაშვებულია პარკების 3 სტანდარტი: ევროპული; PAS, ანუ დიდი ბრიტანეთის სტანდარტი და ASTM - ამერიკული სტანდარტი.

ქვეყანაში პლასტიკის პარკების იმპორტზე კონტროლს ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი; საცალო ქსელში რეალიზაციას აკონტროლებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. პარკების მწარმოებლების ინსპექტირებას კი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ პარკების მწარმოებელი კომპანიების ინსპექტირებამ მასშტაბური და სისტემატური სახე შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის ძალაში შესვლის შემდეგ მიიღო. ინსპექტირების მიზანია, საცალო ქსელში არ მოხვდეს დადგენილ რეგულაციასთან შეუსაბამო პლასტიკის პარკები და შესაბამისად, შემცირდეს გარემოს დაბინძურება. პარკების მწარმოებლების შემოწმება ყოველწლიურად მწარმოებლების გაუფრთხილებლად ხორციელდება.

ინსპექტირება მიმდინარე წელს უკვე დაწყებულია და კვლავ გრძელდება. პირველ ეტაპზე შემოწმდა თბილისსა და მარნეულის მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოები. დალუქულია დადგენილ რეგულაციასთან შეუსაბამოდ წარმოებული დაახლოებით 2,5 ტონა პლასტიკის პარკი, რომლებსაც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად არ ჰქონდათ ნიშანდება. 14 სახეობის პარკის ნიმუში კი, გადაიგზავნა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში. ლაბორატორია აღჭურვილია ყველა შესაბამისი აპარატურით, რომლითაც შეიძლება სრული სიზუსტით და თანამედროვე სტანდარტით მოხდეს პარკის დეგრადაციის ხარისხისა და მძიმე მეტალების შემცველობის დადგენა. კვლევის შედეგებს ლაბორატორია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მიაწვდის და ტექნიკური რეგლამენტის დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, მოხდება კანონით გათვალისწინებული რეაგირება.

რა სანქციები მოქმედებს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82-ე პრიმა 5 მუხლის თანახმად, პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას, წარმოებისას ან/ და რეალიზაციისას ტექნიკური რეგლამენტის – „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით, ხოლო თუ აღნიშნული პროდუქციის კონფისკაცია შეუძლებელია - მეწარმე სუბიექტის დაჯარიმებას 1 000 ლარითა და გამოვლენილი პლასტიკის/ ბიოდეგრადირებადი პარკების (სამართალდარღვევის საგნის) რაოდენობის 0.25 ლარზე ნამრავლის ოდენობით.

სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტს გაორმაგებული 2 000 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს, ასევე მოხდება შესაბამისი პროდუქციის კონფისკაცია. იმ შემთხვევაში კი, თუ აღნიშნული პროდუქციის კონფისკაცია შეუძლებელია - მეწარმე სუბიექტი დაჯარიმდება 2 000 ლარითა და გამოვლენილი პლასტიკის/ ბიოდეგრადირებადი პარკების (სამართალდარღვევის საგნის) რაოდენობის 0.25 ლარზე ნამრავლის ოდენობით.

თანამედროვე ტექნოლოგია ბუნების სამსახურში
ფოტოხაფანგები დაცულ ტერიტორიებზე

ფოტოხაფანგები თანამედროვე ტექნოლოგიის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მონიტორინგში. მათი გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნება და დაცვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ფოტოხაფანგების მეშვეობით შესაძლებელია როგორც ველური ბუნების ყოველდღიური ცხოვრების დოკუმენტირება, ისე სამართალდამრღვევების გამოვლენა.

ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რის გამოც ფოტოხაფანგები ფართოდ გამოიყენება დაცულ ტერიტორიებზე, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგია. კამერები აფიქსირებენ ცხოველების გადაადგილებასა და ქცევებს სხვადასხვა დროის მონაკვეთში, რაც მეცნიერებსა და გარემოსდაცვით ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, უკეთ შეისწავლონ ბინადარი სახეობების რიცხოვნობა, გავრცელების არეალი და თავისებურებები. ამავდროულად, ფოტოხაფანგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართალდარღვევების გამოვლენაში - მაგალითად, უკანონო ნადირობის, ტყის ჭრის ან დაცული ზონების დარღვევის შემთხვევების დროს, კამერების კადრები ხშირად მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენენ.

ფოტოხაფანგებს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში. ისინი ხშირად აფიქსირებენ დაცულ ტერიტორიებზე მცხოვრებ უნიკალურ ცხოველებსა და ფრინველებს, რომლებიც იშვიათად ხვდებიან ადამიანების თვალსაწიერში. დაცული ტერიტორიების სააგენტო ამ კადრებს აქტიურად აზიარებს სოციალურ ქსელებში, რაც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, უკეთ გაიცნონ და დააფასონ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე. ამგვარი ვიზუალური მასალა იწვევს დიდ დაინტერესებას და ემოციურ კავშირს, რაც თავის მხრივ ზრდის საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვით პროცესებში.

მოკლედ, ფოტოხაფანგები ერთდროულად გვევლინებიან როგორც სამეცნიერო კვლევების, ისე სამართალდამცავი და საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ ინსტრუმენტად. მათი გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ბუნების უკეთ გაცნობასა და დაცვას, არამედ საზოგადოების მეტად გააზრებულ დამოკიდებულებას გარემოსადმი.

დაბოლოს - გაიცანით ჩვენი ფოტოხაფანგების ვარსკვლავები! - დაცული ტერიტორიების ბინადართა რამდენიმე გამორჩეული და საყვარელი სახე.

საქართველოს ტყის იშვიათი სახეობები - თურანულა, ევფრატის ვერხვი POPULUS EUPHRATICA

საქართველოს ტყეებში მრავალი საინტერესო მცენარე იზრდება. მათ შორის ბევრი იშვიათია და გადაშენების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება. ერთ-ერთი ასეთია თურანულა. საქართველოში ეს სახეობა ბუნებრივად მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ არეალში გვხვდება. ეს არის ვაშლოვანის დაცული ტერიტორია.

თურანულა (Populus euphratica Oliv.)

უძველესი სახეობაა, რომელიც მესამეული პერიოდის დროიდან შემორჩა. დღეს ის აღმოსავლეთ და მცირე აზიის რეგიონებში გვხვდება. მსგავს მცენარეებს „რელიქტებს“ უწოდებენ – ეს ნიშნავს, რომ ისინი შორეული წარსულიდან მოყოლებული გადარჩნენ და ცოცხალი ისტორიის ნაწილი არიან. იზრდება მთის ქვედა სარტყელში მდინარეთა ნაპირების გასწვრივ, ძირითადად, ზღვის დონიდან 700-800 მ-მდე, თუმცა, აზიის ქვეყნებში გავრცელების ზედა ზღვარი ბევრად მაღალია. კავკასიაში გვხვდება სომხეთსა და აზერბაიჯანში. საქართველოში კი, მისი გავრცელების ერთადერთი ადგილი ცნობილია მხოლოდ ვაშლოვანის ნაკრძალში - „დათვის ხევში“.

თურანულას ფოთლებს მოვერცხლისფრო ელფერი დაკრავს, რითაც ის გამორჩეულია სხვა მცენარეებისგან. იგი ძალიან ლამაზი, მაღალი დეკორატიული ღირებულების მქონე მცენარეა. ერთ ზრდასრულ ხეზე შეიძლება ვნახოთ სამი ან ოთხი ფორმის ფოთოლი: ვიწრო-ხაზურა, მომრგვალო, რომბისებრი ან მათ შორის გარდამავალი. მცენარე იზრდება ისეთ მშრალ ხევებში, სადაც წელიწადში რამდენჯერმე ხდება წყლის მოვარდნა.

წერტილოვანი არეალისა და დაბალი რიცხოვნობის გამო, იგი შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“, როგორც გადაშენების კრიტიკულ ზღვარზე (CR) მყოფი სახეობა.

თურანულა ძნელად მრავლდება, ამიტომ მისი არეალი თანდათან ვიწროვდება. ნიკო კეცხოველი 1980 წლის გამოცემულ პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ „დათვის ხევში“ თურანულას 300-მდე ინდივიდია. 2010 წელს ჩატარებული კვლევებით, „დათვის ხევში“ ვიწრო ზოლად წარმოდგენილ ფართობზე სულ აღწერილ იქნა სხვადასხვა ხნოვანების, მათ შორის მოზარდის ჩათვლით, 115 ინდივიდი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, კიდევ უფრო დეგრადირებული იყო თურანულას პოპულაცია (ზრდასრული ხეების დიდი ნაწილი ხმობადია).

სახეობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია საკონსერვაციო ღონისძიებების გატარება, რომელთაგან ერთ-ერთი არის ბოტანიკურ ბაღებსა და ცოცხალ კოლექციებში მისი გამრავლება, ხოლო პერიოდულად რეინტროდუქცია ბუნებრივ არეალში.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების მიმართულებით - ფართოვდება მონიტორინგის ქსელი და იზრდება განსასაზღვრი პარამეტრების რაოდენობა

შავი ზღვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სტაბილურობაში

ბოლო ათწლეულებში, შავი ზღვა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის აღსანიშნავია, წყლის მყარი ნარჩენებით დაბინძურება. ბოლო 20 წლის განმავლობაში, პლასტმასის მოხმარების მატებასთან ერთად, მყარი ნარჩენების ოდენობა ასჯერ გაიზარდა როგორც ზღვებში, ისე ოკეანეებში. ყოველწლიურად, ოკეანეში ხვდება დაახლოებით 8 მილიონი ტონა პლასტმასი, წრიული დინებების შედეგად, გარკვეულ ადგილას იყრიან თავს და წარმოიქმნება „ნაგვის კუნძულები“. შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვასთან შედარებით, მეტად დაბინძურებულია, მასში ჩამდინარე დიდი მდინარეების შენატანის და ზღვის შედარებით ჩაკეტილობის გამო. შავ ზღვაში ნაგვის 85% შეადგენს სხვადასხვა ტიპის პლასტმასის ფრაგმენტებს, რომელიც ულტრაიისფერი გამოსხივების და ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად თანდათან იშლება მცირე ფრაგმენტებად და ილექება წყლის ფსკერზე, სადაც ბინადრობენ წყლის ორგანიზმები. თუმცა, ყველაფერი რაც ზღვაში ხვდება, განიხილება როგორც ჰიდრობიონტების საცხოვრებელი ადგილი, რომელშიც ილექება წყალმცენარეები, ემაგრება მოლუსკის ლავრები, ან ჩნდება მცირე ზომის კიბორჩხალები და სხვა ცხოველები. თუმცა პლასტიკის მავნე ზემოქმედება ამით არ კომპენსირდება.

შავი ზღვის დაცვა მხოლოდ ერთი ქვეყნის საქმე არ არის, ამიტომ, შავი ზღვისპირა ქვეყნები ერთობლივად ახორციელებენ მონიტორინგსა და კვლევებს. ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს ნაპირული ურბანული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და დაბინძურების შემცირებას.

შავი ზღვის კონტინენტური შელფის და მისი სანაპირო ეკოსისტემების კვლევისა და მონიტორინგის მიზნით, გარემოს ეროვნული სააგენტო, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო თურქ და რუმინელ პარტნიორებთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს “შავი ზღვის ჭკვიანი საზღვაო გარემოსდაცვითი შედეგების სისტემა“, რომელიც ინოვაციური ხასიათისაა და მიზნად ისახავს, შავი ზღვის რეგიონში მობილური სადგურებიდან და არსებული ბაზებიდან მონაცემების შეგროვებისა და გაზიარებისათვის სტანდარტიზებული საკომუნიკაციო სისტემის შექმნას. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს საზღვაო გარემოს ძირითადი პარამეტრების, ტემპერატურის, მარილიანობის, ჟანგბადის დონის და ზღვის ფსკერის მახასიათებლების უწყვეტ მონიტორინგს. პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების მობილური მრავალსენსორული კვლევითი სადგურის შეძენა.

სააგენტო, ასევე, შავი ზღვის კვლევის მიმართულებით, ევროკავშირის პროგრამის „Interreg NEXT Black Sea Basin Programme“ თანადაფინანსებით, ახორციელებს პროექტს -„ინოვაციური ერთობლივი სწავლება შავი ზღვის აუზში მცხოვრები თემების გარემოსადმი მეგობრული ქცევის ჩამოსაყალიბებლად“, რომლის ფარგლებშიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებში შექმნილი გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრების ქსელი ერთმანეთთან ციფრული პლატფორმის საშუალებით იქნება დაკავშირებული. აღნიშნული პროექტის მიზანია, მოქალაქეების გარემოსადმი მეგობრული ქცევის გაუმჯობესება, გარემოსდაცვითი აქტივობების განხორციელება და შავი ზღვის აუზის რეგიონებში დაბინძურების შემცირება.

გარდა ამისა, მიმდინარე პროექტის „ექსპერიმენტული ფსკერული ტრალური კვლევა საქართველოს წყლებში“ ფარგლებში, ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზში მეთევზეობის მართვის რეგიონული ორგანიზაციის - ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) მხარდაჭერით, შავი ზღვის რეგიონში, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ხელსაწყოს გამოყენებით მიმდინარეობს სტანდარტიზებული საერთაშორისო ფსკერული კვლევები (iBotS). კვლევები მიზნად ისახავს შავი ზღვის პრიორიტეტული ფსკერული სახეობების (კატრანი, კამბალა, ხონთქარა და მერლანგი) შესახებ მონაცემთა შეგროვებას და მარაგების შეფასების მეთოდების ჰარმონიზაციას. ხელსაწყო ზღვის სხვადასხვა სიღრმეზე მაღალი სიზუსტის სინჯების აღების საშუალებას იძლევა. აღნიშნული კვლევების საფუძველზე მოგროვებული ახალი მონაცემები გადამწყვეტი იქნება მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად. უპირველეს ყოვლისა, უფრო ზუსტად შეფასდება ფსკერული სახეობების რეალური რაოდენობა ზღვაში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მარაგების მდგრადი მართვისთვის.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია შავი ზღვის ეკოსისტემის შესწავლისა და მისი მდგრადი გამოყენებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის გარდა, გარემოს ეროვნული სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს კვლევის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა წყლის ეკოლოგია, ჰიდრობიოლოგია, წყლის ბიომრავალფეროვნება, მეთევზეობა და აკვაკულტურა. სააგენტო, ასევე, იკვლევს ზღვის წყლის ქიმიურ პარამეტრებს.

შავი ზღვის წყლის სინჯებში ისაზღვრება ბიოგენური ელემენტების, მძიმე მეტალებისა და ჯამური ნავთობის ნახშირწყალბადების კონცენტრაციები. ასევე, შავი ზღვის სანაპირო ზოლის 12 სადგურზე (წერტილში) ხორციელდება ბიოლოგიური მონიტორინგი, რა დროსაც ისაზღვრება სარფი-ანაკლიის



სანაპირო ზოლში ისეთი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ინდიკატორები, როგორიც არის მიკრო წყალმცენარეების ტაქსონომიური შემადგენლობა და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

აღებული სინჯები საანალიზოდ გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში იგზავნება, რომელიც აღჭურვილია მაღალი სიზუსტის მქონე ანალიტიკური ხელსაწყოებით და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ შავი ზღვა მრავალი ეკოლოგიური გამოწვევის წინაშე დგას, მათი გადაჭრა კომპლექსური და ერთობლივი მიდგომით არის შესაძლებელი. მუდმივი კვლევა, მონიტორინგი და მდგრადი გარემოსდაცვითი პოლიტიკა საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ შავი ზღვის უნიკალური ეკოსისტემა და რესურსები მომავალი თაობებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტო მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებაზე მუშაობას აქტიურად აგრძელებს.

მწვანე ოპერაციები და მისი როლი ხარისხიანი ყურძნის საწარმოებისთვის

ყურძნის მარცვალი სამ ძირითად ნაწილად იყოფა: რბილობი, კანი და წიპწა. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი კომპონენტების მატარებელია მეღვინეობისთვის. ისინი განსხვავდებიან ქიმიური შემადგენლობით, რის გამოც ღვინის არომატსა და სტრუქტურაზე განსხვავებულად ახდენენ გავლენას.

მარცვლის ზომა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წიპწისა და კანის ექსტრაქციაზე. პატარა მარცვლიანი ყურძნისგან მიღებულ ღვინოში ტანინებისა და ფენოლების კონცენტრაცია მეტია. სრულფასოვნად განვითარებულ მარცვალში 4 წიპწაა, თუმცა გარემო პირობების ცვლილებებმა მათი რაოდენობა შეიძლება შეამციროს.

მარცვლის განვითარებას ორი მთავარი ფაზა აქვს: ფორმაციისა და მომწიფების ეტაპები. პირველი ფაზა, რომელიც ყვავილობიდან დაახლოებით 60 დღეს გრძელდება, მოიცავს მარცვლის ფორმირებას და წიპწის ჩანასახის წარმოქმნას. მეორე ფაზა კი იწყება მარცვლის რბილობით, ფერის ცვლილებით (შეთვალება) და შაქრების, მჟავებისა და ფენოლური ნაერთების აკუმულაციით.

მარცვალში არსებულ მჟავებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაშლმჟავა და ღვინის მჟავა. ვაშლმჟავა გროვდება რბილობში, ხოლო ღვინის მჟავა - კანში. ტანინები უმეტესად კონცენტრირებულია კანსა და წიპწაში.

შეთვალების შემდეგ იწყება სიმწიფის პერიოდი, რომელიც საშუალოდ 40 დღე გრძელდება. მარცვალი აგროვებს შაქარს, რაც დამოკიდებულია მწვანე მასაზე, მტევნების რაოდენობაზე და ვაზის ზოგად სიჯანსაღეზე - ფიტოსანიტარულ მდგომარეობაზე. ამ ფაზაში წარმოიქმნება არომატული ნაერთებიც. ფერის პიგმენტები - ანტოციანები, მხოლოდ კანის შემადგენლობაში გვხვდება და მათი რაოდენობა მზის სინათლისა და ჰაერგამტარობის მიხედვით მერყეობს.

მწვანე ოპერაციები და მათი მნიშვნელობა

მწვანე ოპერაციები- ვაზის მწვანე მასის კონტროლი, სხვლის დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, შეამციროს ზედმეტი დატვირთვა (მეტად დატოვებული კვირტები), შტამბზე ისეთი მდებარეობის ყლორტი დაიტოვოს, რომელიც სანაყოფესა და სამამულეს (ნეკი) ფორმირებაში დაგვეხმარება და სხვ..

ამასთანავე ვეგეტაციის მანძილზე, მწვანე ოპერაციები უზრუნველყოფს ვაზის ყლორტების თანაბარ განაწილებას, ფოთლებისთვის ოპტიმალური განათების პირობების შექმნას, რაც თავის მხრივ აისახება ფოტოსინთეზის პროცესზე. მწვანე ოპერაციები ასევე განსაზღვრავს ყლორტების ნორმალურ ზრდა-განვითარებას, ამცირებს ტენიანობას, აუმჯობესებს აერაციას და ამცირებს სოკოვანი დაავადებების გავრცელებას. მწვანე ოპერაციების შესრულების ვადებს და ინტენსივობას გავლენა აქვს საბოლოო პროდუქტის ტექნო-ქიმიურ პარამეტრებზე, მათ შორის მტევნის ფერის პიგმენტის, არომატების, ფენოლური ნაერთების თუ სხვ. სინთეზზე.

მთავარი მწვანე ოპერაციებია:

- **შტამბიდან ამონაყრების** - მძინარა კვირტებიდან განვითარებული ახალგაზრდა ყლორტების მოცილება;
- **ყლორტების დანორმება (გათხელება)** - ნაყოფიერ და უნაყოფო ყლორტებს შორის არჩევანი;
- **ყვავილობის წინა პერიოდში ყლორტების წვერის წაწყვეტა** - იმ ჯიშებისათვის, რომელთაც ახასიათებთ ნაკლებად განაყოფიერება და ყვავილთცვენა; საკვები ნივთიერებების ყვავილედებზე აკუმულირებისთვის;
- **ნამხრევების მოცილება** - ტარდება როცა ნამხარი რბილია და ადვილად მოსაცილებელი.
- **ცის გახსნა** - ყლორტების წვერის ზედა მავთულიდან რაც შეიძლება მაღლა გადაჭრა ან მასზე ჰორიზონტალურად დაფიქსირება -ფოთლების საასიმილაციო ზედაპირზე მზის შუქის უკეთ მისაღწევად; ტარდება ახალგაზრდა ყლორტების ინტენსიური ზრდის დასრულების(ივლისის მეორე ნახევრიდან) შემდეგ - ერთჯერ ვეგეტაციის განმავლობაში.

ოპერაციების ოპტიმალური ვადებია:

- შტამბზე არსებული ამონაყარის შეცლა განვითარებისთანავე;
- სანაყოფე ყლორტებზე ჩასატარებელი ოპერაციები იდეალურია მაშინ, როცა მათი სიგრძე 15-30 სმ-ს აღწევს - ამ დროს უკვე შესაძლებელია ერთმანეთისგან გავარჩიოთ ნაყოფიანი (ყვავილედიანი) და უნაყოფო ყლორტები და სწორად განვსაზღვროთ შესანარჩუნებელი და მოსაცილებელი ნაწილები;
- ვაზის ყვავილობამდე;
- მარცვლის გამონასკვის შემდეგ.

მწვანე ოპერაციების ჩატარების ვადები, დიდ გავლენას ახდენს მარცვლის ფორმირებაზე, მტევნის კონსისტენციაზე, შაქრიანობასა და ფენოლურ კომპოზიციაზე. ყვავილობამდე ჩატარებული ყლორტების შეცლა იწვევს უფრო მეტად კუმსი მტევნის განვითარებას, რადგან მთელი ენერგია დაყვავილებაზეა მიმართული. ვინაიდან საწყის ეტაპზე, ახალგაზრდა ყლორტზე არსებულ მცირე ზომის ფოთლებს არ აქვთ ფოტოსინთეზის წარმართვის უნარი, შესაბამისად ისინი ყვავილედებს საკვებს ართმევენ და მასთან კონკურენციაში შედიან. ამდენად ყლორტზე არსებული ბაზალური, მხოლოდ პირველი და მეორე, ფოთლის შეცლა ზრდის სრული ფენოლებისა და ანტოციანების კოცენტრაციას, ხოლო სრული მჟავების რიცხვი მცირდება.

შეთვალებამდე ზედმეტი ფოთლების მოცილება(მხოლოდ იმ მხარეს, სადაც ნაკლებია მზის რადიაციის პირდაპირი ზემოქმედება, რაც მტევნის დამწვრობას იწვევს) ზრდის ანტოციანებისა და არომატების კონცენტრაციას, და უმნიშვნელოდ ამცირებს მჟავიანობას.

მზის ნათება ზრდის წითელი პიგმენტების რაოდენობას ახალგაზრდა ღვინოში, რაც ემყარება ანტოციანინების და ფლავონოლების მომატებას. მზის სხივები, ამარტივებს ფერმენტაციის დროს ანტოციანინების ექსტრაქციას, არაპირდაპირი ეფექტი აქვს ასევე ღვინის ხარისხზე და ცვლის ყურძენზე არსებულ საფუვრის მიკროფლორას.

გასათვალისწინებელია, რომ თუ წელი ხასიათდება გვალვით, მწვანე ოპერაციები უნდა ჩატარდეს ისე, რომ მტევნებს ჰქონდეთ მზისგან დამცავი ფოთლები, რაც აირიდებს მათ არუჯვას. შესაბამისად, მწვანე ოპერაციების ჩატარების გადაწყვეტილება წლის და გარემო ფაქტორების მიხედვით უნდა იქნას მიღებული.

ვაზზე განხორციელებულ თითოეული აგროტექნიკური, ფიტოტექნიკური, ფიტოსანიტარული და სხვ. ღონისძიებები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ყურძნის მოსავლის რაოდენობას, მარცვლის განვითარებას და ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებელს.

ნუშის ბაღში გავრცელებული სარეველები

ნუში ვარდისებრთა ოჯახის მცენარეა. ნუშის კულტურა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნის წინ გაჩნდა, მის სამშობლოდ თურქეთს მიიჩნევენ. უძველეს დროში, ნუშის აყვავება ახალი წლის მოსვლის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, იგი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4 ათასი წლის წინ ფინიკიელების წყაროებში არის აღწერილი, როგორც "მაგიდის დამამშვენებელი" ხილი. პირველად ევროპის ქვეყნებს შორის, ნუში საბერძნეთში შეიტანეს აზიის ქვეყნებიდან. ევროპაში ნუშს "სამეფო თხილს" უწოდებდნენ, რადგან პირველად მეფის კარზე დააგემოვნეს. ძველ ეგვიპტეში ნუშის ზეთი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ ითვლებოდა.

საქართველოში კულტივირებულია ჩვეულებრივი ნუში (Amygdalus communis), მის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ვიტამინი და მიკროელემენტი: B1, B2, B3, B5, B6, B9, ასევე E ვიტამინი, ხოლო მიკროელემენტებიდან - კალციუმი, რკინა, მაგნიუმი, ფოსფორი, კალიუმი. იგი შეიცავს ცილებს, ნახშირწყლებს, უჯერ ცხიმებს, ამინომჟავებს. ნუშის ნაყოფი ფართოდ გამოიყენება, როგორც ნედლი, ისე მოხალული, დაშაქრული სახით, ასევე საკონდიტრო მრეწველობაში - შოკოლადების, კანფეტების, ნუგების, შაქარლამების, ტორტების და სხვა პროდუქტების წარმოებისთვის.

ნუშის ბაღში გავრცელებულია შემდეგი სარეველა მცენარეები: კუროსთავი (Tribulus terrestris L.), მწყერფეხა (Digitaria ischaemum L.), ბალბა (Malva sylvestris L.), ბაბუაწვერა (Taraxacum officinale Wigg.), გლერტა (Cynodon dactylon (L.) Pers.), დანდური (Portulaca oleracea L.), ლაკარტია (Paspalum digitaria Poir.), თავნასკვა (Cyperus rotundus L.), შალაფა (Sorghum halepense (L.) Pers.), ცხენისკუდა (Erigeron canadensis L.), ჩვეულებრივი ღოლო (Rumex crispus L.), ხვართქლა (Convolvulus arvensis L.) და სხვა.

კუროსთავი - TRIBULUS TERRESTRIS L.

ერთწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა ორყურასებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, წვრილი; ღერო - დატოტვილი, მიწაზე გართხმული, 10-60 სმ; ფოთოლი - წვილფრთართული; ყვავილი - წვრილი, ყვითელი, ერთეული. ყვავილობს შუა გაზაფხულიდან ყინვების დაწყებამდე; ნაყოფი - კაკლუჭა, დაფარულია ეკლებით, ჩალისფერი. სიგრძე - 4-6 მმ, სიგანე - 3-5 მმ, თესლი - მოგრძო, ოვალური, გლუვი, ღია ყავისფერი, სიგრძე - 2.75-3 მმ, სიგანე - 0.75-1 მმ.

ბალბა - MALVA SYLVESTRIS L.

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა ბალბისებრთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, დატოტვილი, შებუსული, 30-120 სმ-მდე; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, გრძელი ყუნწით, 5-7 ფრთისებრდანაკვთული, ხერხისებრ დაკბილული; ყვავილი - მოვარდისფრო-იასამნისფერი 1-5 ცალის რაოდენობით, ფოთლის იღლიებში განლაგებული, ყვავილობს ივლისიდან სექტემბრის ბოლომდე; თესლი - მომრგვალო - თირკმლისებრი, შეჭყლეტილი, გლუვი, მოყავისფრო, სიგრძე და სიგანე - 1.75-2 მმ, მწიფდება არათანაბრად, აგვისტოდან ყინვების დაწყებამდე.

ბაბუაწვერა - TARAXACUM OFFICINALE WIGG.

მრავალწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, 30 სმ სიმაღლის; ფოთოლი - მწვანე, ლანცეტა, დაკბილული, ფუძესთან როზეტად შეკრებილი; ყვავილედი - კალათა, ყვავილი - ყვითელი, ერთეული; ყვავილობს მაის-ივნისში, ზოგჯერ გვიან შემოდგომაზეც აღინიშნება; ნაყოფს იძლევა მაისის ბოლოდან ივლისის ბოლომდე; თესლურა - თითისტრისებრი, ყავისფერი, დანაოჭებული, ზედა მხარეს მცირე ზომის ეკლიანი გამონაზარდებით, თეთრი ქოჩრით, სიგრძე - 3–4 მმ, სიგანე - 1.25–1.5 მმ; ერთ მცენარეზე ვითარდება 3000 – 8000 თესლი.

გლერტა - CYNODON DACTYLON (L.) PERS.

მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან, 15-50 სმ სიმაღლის; ღერო - დატოტვილი, სწორი; ფოთლები ლანცეტისებრი, უხეში; ყვავილედი - თავთავი წვრილი; კილიანი მარცვალი მოგრძო - კვერცხისებრი, სიგრძე - 2.25–2.75 მმ, სიგანე - 0.5 – 0.75 მმ; მარცვალი ოვალურ-კვერცხისებრი, ყავისფერი, სიგრძე - 1.25-1.75 მმ, ერთი მცენარე იძლევა 10000 თესლს, რომელიც სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს 10 წელიწადს.

დანდური - PORTULACA OLERACEA L.

ერთწლიანი, ბალახოვანი, სუკულენტი მცენარეა დანდურისებრთა ოჯახიდან; ღერო - გართხმული, მოწითალო ფერის 10-40 სმ; ფოთლები - მჯდომარე, ხორცოვანი; ყვავილი - წვრილი, ყვითელი, ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე; ნაყოფი - კვერცხისებრი ან სფეროსებრი კოლოფი, მწიფდება სექტემბერში; თესლი - თირკმლისებრი, ოვალურ-მომრგვალო, ზოგჯერ სუსტად დაკუთხული, გვერდებზე შეჭყლეტილი, ზედაპირი - სუსტად დაკბილული, ნაკლებად მბზინვარე, შავი, მუქი ყავისფერი, სიგრძე და სიგანე - 0.75-1 მმ.

ლაკარტია - PASPALUM DIGITARIA POIR.

მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან; ფესურა - მოკლე, მხოხავი; ღერო - აღმავალი, 10-50 სმ სიმაღლის; ფოთლები - ხაზურა; ყვავილედი - თავთავი, ყვავილობს აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე; კილიანი მარცვალი - კვერცხისებრი, გლუვი, მბზინავი, სიგრძეზე სუსტად დაღარული, ღია ყვითელი, ზოგჯერ ღია ნაცრისფერი, სიგრძე - 2-2.25 მმ, სიგანე - 1.25 მმ; თესლი (მარცვალი) - ოვალურ-კვერცხისებრი, ზურგის მხრიდან ამობურცული, მუცლის მხარეს - შეწეული, ყავისფერი.

თავნასკვა - CYPERUS ROTUNDUS L.

მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა ისლისებრთა ოჯახიდან; ღერო - სწორი, წახნაგიანი, 10-80 სმ სიმაღლის; ფოთლები - ხაზურა, მჯდომარე; ყვავილედი - ქოლგისებრი 3-5 სხივიანი, ყვავილობს აგვისტოში; ნაყოფი - მოგრძო კაკლუჭა, სამწახნაგიანი, ზედაპირი - სუსტად მბზინავი, მუქი ყავისფერი; გავრცელებულია ჭაობიან ადგილებში, წყლისპირას.

შალაფა - SORGHUM HALEPENSE (L.) PERS.

მრავალწლიანი, ფესურიანი, შხამიანი, აბეზარი, ძნელად მოსაშორებელი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან; ღერო - სწორმდგომი, 2 მ-მდე, ნიადაგის ზედაპირთან ივითარებს გვერდით ყლორტებს; ფოთოლი - ხაზურა, ხაოიანი; ყვავილედი - საგველა; ნაყოფი - მარცვალი, მოგრძო კვერცხისებრი, მბრწყინავი, ყავისფერი, სიგრძე - 5-6 მმ, სიგანე - 2 მმ, ერთ თავთავში 500-800-მდე მარცვალია, ერთი მცენარე 2000-10 000-მდე თესლს იძლევა.

ცხენისკუდა - ERIGERON CANADENSIS L.

ერთწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ღერო - სწორმდგომი, მწვანე, მარტივი, ზედა ნაწილში დატოტვილი, შებუსული, 15-150 სმ სიმაღლის; ფოთლები - ლანცეტისებრი, მწვანე, შებუსული; ყვავილი - ღია ყვითელი, 2.5-3 მმ, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; თესლურა - ლანცეტისებრი, მოყვითალო, სიგრძე - 1.2-1.5 მმ, სიგანე - 0.2-0.3 მმ, ქოჩორი - 2.5-3 მმ.

ჩვეულებრივი ღოლო - RUMEX CRISPUS L.

ბალახოვანი, ფესურიანი, მრავალწლიანი მცენარეა წიწიბურასებრთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, გრძელი, ყავისფერი; ღერო - სწორმდგომი, 50-120 სმ სიმაღლის, შეუბუსავი, მოწითალო ფერის; ფოთლები - მოპირდაპირედ განლაგებული, ლანცეტისებრი, 15-20 სმ სიგრძის, ქვედა ფოთლები - გულისებრი; ყვავილები - პატარა, მოწითალო ან მომწვანო, ყვავილობს ივნის-ივლისში; ნაყოფი - სამწახნაგიანი კაკლუჭა, მოწითალო-ყავისფერი, მბზინავი, სიგრძე - 2-3 მმ, სიგანე - 1.5-2 მმ.

ხვართქლა - CONVOLVULUS ARVENSIS L.

მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი, აბეზარი, შხამიანი სარეველა მცენარეა ხვართქლასებრთა ოჯახიდან. ღერო - ხვიარა, შიშველი, წვრილი, სიმაღლე - ერთი მეტრი; ფოთლები - ვიწრო შუბისმაგვარი, აქვს გრძელი ყუნწი; ყვავილი - თეთრი ან ვარდისფერი; ნაყოფი - კოლოფი, მონაცრისფრო-მწვანე, მონაცრისფრო-ყავისფერი, ნაცრისფერი, მომრგვალო-ოვალური, ხაოიანი ზედაპირით, სიგრძე - 6-7.5 მმ, სიგანე - 6.5 მმ, თესლი - უკუკვერცხისებრი, სამწახნაგოვანი, ზედაპირი - გლუვი, მონაცრისფრო-ყავისფერი, მუქი ნაცრისფერი, თითქმის შავი, სიგრძე - 2.5-3.5 მმ, სიგანე - 2-2.5 მმ.

მწყერფეხა - DIGITARIA ISCHAEMUM L.

ერთწლიანი, მარცვლოვანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა. ღერო - სწორმდგომი, შეუბუსავი, მომწვანო-იასამნისფერი, 10-50 სმ-მდე; ფოთლები - ლანცეტისებრი, მწვანე; ყვავილედი - თავთავი, მწვანე ან იასამნისფერი, სიგრძე - 2.2-2.5 მმ, ყვავილობს ივლისში; მარცვალი ელიფსური, მოყვითალო-ყავისფერი, სიგრძე - 1-2.8 მმ, თესლს იძლევა აგვისტო-სექტემბერში.

სერტიფიცირება ხელს შეუწყობს:

- საერთაშორისო სტანდარტის ვეტერინარული სერვისების მიწოდებას;
- მოქალაქეთა და ცხოველების ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- არაკვალიფიციური პრაქტიკის აღკვეთას;
- ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი პირების უფლებების დაცვას;

სახელმწიფო სერტიფიკატს გასცემს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული ვეტერინარული სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლების, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებისა და პრაქტიკოსი ვეტერინარებისგან.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://nfa.gov.ge

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 სექტემბრის N 288 დადგენილება („ვეტერინარიისა და ვეტერინარი ტექნიკოსის საქმიანობისთვის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისა და მათი პროფესიული განვითარების წესი და პირობები“).

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ვეტერინართა პროფესიული დღე მასშტაბური კონფერენციით აღნიშნა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძემ ვეტერინარებს პროფესიული დღე მიულოცა და ხაზი გაუსვა მათ წვლილს ქვეყნის ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფაში.

„ვეტერინარები ცხოველების დროული ვაქცინაციითა და მათ ჯანმრთელობაზე ზედამხედველობით უზრუნველყოფენ მომხმარებელს უვნებელი სურსათით და, შესაბამისად, იცავენ ადამიანების ჯანმრთელობას. ვეტერინარიის როლი უმნიშვნელოვანესია როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების, ასევე სასურსათო უსაფრთხოებისთვის“, – აღნიშნა კახა კაკაბაძემ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა მადლობა გადაუხადა ვეტერინარებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ მათი საქმიანობის ინდიკატორი ზოონოზური დაავადებების ბოლოდროინდელი სტატისტიკაა.

„შემცირებულია ცოფისა და ჯილეხის შემთხვევები. 2023 წელს გამოვლინდა ცოფით დაავადების 85 შემთხვევა, 2024 წელს – 26. მიმდინარე წლის ოთხი თვის მონაცემებით, გამოვლენილია 2 ფაქტი, რაც გაცილებით ნაკლებია ამავე პერიოდის შარშანდელ მონაცემებთან შედარებით. დაავადება „თურქულის“ კონტროლის ევროპული კომისიის გადაწყვეტილებით, გადავედით თურქულთან ბრძოლის მე-3 საფეხურზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოველთა რეგულარული ვაქცინაციის შედეგად საქართველო კეთილსაიმედო ქვეყნების ჩამონათვალში ჩაეწერა“, – აღნიშნა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

ღონისძიებას ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ევროპის რეგიონული წარმომადგენელი ბუდიმირ პლავსიჩი, ასევე აზერბაიჯანის და სომხეთის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას, რაც ხელს უწყობს რეგიონში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფას და რაშიც დიდი წვლილი სწორედ საქართველოს ვეტერინარულ სამსახურს მიუძღვის.

ქართველ ვეტერინარებს პროფესიული დღე მიულოცა ვეტერინარიის მსოფლიო ასოციაციის (WVA) პრეზიდენტმა ჯონ დი იანმაც.

„ვეტერინარიის მსოფლიო დღის წლევანდელი გზავნილია „ცხოველთა ჯანმრთელობას უზრუნველყოფს გუნდი’“, რაც აერთიანებს ვეტერინარებს, პარაპროფესიონალებს, სამთავრობო უწყებების, მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებს და ფართო საზოგადოებას, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ როგორც ცხოველების, ისე ადამიანების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით ვეტერინარების წვლილი ფასდაუდებელია“, - აღნიშნა ვეტერინარიის მსოფლიო ასოციაციის (WVA) პრეზიდენტმა ვიდეომილოცვაში.

კონფერენციის მონაწილეებმა 2025 წლის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს და ახალ რეგულაციაზე იმსჯელეს, რომლის მიხედვითაც 2026 წლის პირველი იანვრიდან ვეტერინარების სერტიფიცირება სავალდებულო ხდება. აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული ვეტერინარული მომსახურების განვითარებას.

ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, ფერმერები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

დამსახურებულ ვეტერინარებსა და სტუდენტებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. გაიმართა დისკუსია პოტენციურ დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის.

ვეტერინარიის მსოფლიო დღე 2000 წელს ვეტერინარიის მსოფლიო ასოციაციის (WVA) ინიციატივით დაწესდა და ყოველწლიურად აპრილის ბოლო შაბათს აღინიშნება. ამ დღის აღნიშვნის მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიის პოპულარიზაციას, ხაზი გაუსვას ვეტერინარების წვლილს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და გაზარდოს ცნობიერება ვეტერინართა საქმიანობის შესახებ.

დასავლეთ საქართველოში ფაროსანას მონიტორინგის სისტემების განთავსება მიმდინარეობს

აზიური ფაროსანას გავრცელების მონიტორინგის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მავნებელთან ბრძოლის მართვის ცენტრის სპეციალისტებმა სპეციალური სისტემების (ხაფანგების) განთავსება დაიწყეს. ამ ეტაპზე, აღნიშნული პროცესი დასავლეთ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს

მავნებლის გარკვეული რაოდენობის დაფიქსირებისთანავე დაიწყება კონტროლის ღონისძიებები. დასავლეთ საქართველოში მობილიზებული სპეციალიზებული ტექნიკის მეშვეობით, ტერიტორიები ცივი შესხურებით და თერმული ნისლის მეთოდებით დამუშავდება. აღნიშნული პროცესი წლის ბოლომდე გაგრძელდება.

მავნებელთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია 8000-მდე სპეციალური ხაფანგის განთავსება; მავნებელთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბში შექმნილია მონაცემთა ელექტრონული ბაზა, მონიტორინგის შედეგები აისახება ინტერაქტიულ რუკაზე. ღონისძიებები, მუნიციპალიტეტების მიხედვით, მონიტორინგის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს.

ჩვეულებრივი ანკარა

ჩვეულებრივი ანკარა (Natrix natrix)
საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული უშხამო გველია, ანკარისებრთა ოჯახიდან. ისინი სხვა სახეობისგან მარტივად განსხვავდებიან თავის უკანა ნაწილის ორივე მხარეს არსებული ყვითელი ან ღია სტაფილოსფერი ორი ლაქით. სხეულის ძირითადი ნაწილი შეფერილია მუქი ნაცრისფრიდან - შავამდე, მუცელი კი თეთრია.

ჩვეულებრივი ანკარა გავრცელებულია ჩრდილო აფრიკაში, ევროპაში (უკიდურესი ჩრდილოეთის გარდა), ასევე აზიაში (აღმოსავლეთიდან ცენტრალურ მონკოლიამდე). სხვა ანკარებისაგან განსხვავებით, ცხოვრობენ უფრო ჩრდილოეთით, სკანდინავიის ნ/კ-დან თითქმის პოლუსამდე.

ბინადრობენ ძირითადად მდინარეების, ტბების, ჭაობების, სარწყავი არხების ან წყალსაცავების ახლოს, ნესტიან ტყეებში; ბუჩქოვან მინდვრებში. იშვიათად გვხვდებიან ღია სტეპებში და უტყეო მთებში.

ჩვეულებრივი ანკარები სწრაფად დაცოცავენ, ძალიან აქტიურები არიან, შეუძლიათ ხეებზე ცოცვა, კარგად ცურავენ. შეუძლიათ გაცურონ ნაპირიდან მრავალ კილომეტრზე და ათეულობით წუთი იყვნენ წყლის ქვეშ.

საზამთროდ მღრღნელების სოროებში, ხეების ფესვების ქვეშ და სხვა მყუდრო ადგილებში იმალებიან, ხშირად მარტო. ერიდებიან სხვა სახეობის გველებს.

ჩვეულებრივი ანკარა უშხამო გველია. მას შხამიანი კბილები არ აქვს, ამიტომ მსხვერპლს ცოცხლად ყლაპავს. საკვებს პოულობს როგორც წყალში, ისე ხმელეთზე. ანკარას საკვებს წარმოადგენს: ბაყაყები, გომბეშოები, ტრიტონები, წვრილი თევზები (იშვიათად), ხვლიკები, მწერები (უმთავრესად ხოჭოები), ზოგჯერ მინდვრის თაგვებიც და იშვიათად ჩიტები.

ჩვეულებრივი ანკარა უშხამო გველია. მისი ნაკბენი მსუბუქია და მალევე ხორცდება.

საქართველოს წითელ ნუსხაში მინიჭებული აქვს სტატუსი - LC (არ საჭიროებს ზრუნვას).

კავკასიური სალამანდრა

კავკასიური სალამანდრა (Mertensiella caucasica)
კუდიანი ამფიბიების რიგის წყალხმელეთა ცხოველია. მისი სხეულის სიგრძე 19 სმ-ს აღწევს, აქედან ნახევარზე მეტი კუდზე მოდის. ზურგზე ყვითელი კოპლები აქვს. გავრცელებულია მცირე აზიაში, საქართველოში - ბორჯომის ხეობაში, ზეკარის გადასასვლელთან, საირმეში, აქა-იქ აჭარაში. ცხოვრობს ზღვის დონიდან 2800 მ-მდე.
ბინადრობს ტყის ზონის მდინარეებსა და ნაკადულებში. იკვებება მწერებით, მათი ლარვებით ან პატარ-პატარა უხერხემლო ცხოველებით.
იქიდან გამომდინარე, რომ იშვიათი სახეობაა, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია როგორც მოწყვლადი სახეობა (VU).

ჭრელტყავა

ბოხმეჭა

ბოხმეჭა (Anguis colchica)
ბოხმეჭა საქართველოში გავრცელებული უფეხო ხვლიკია ბოხმეჭასებრთა ოჯახიდან. სიგრძეში 60 სანტიმეტრამდე იზრდება, შეფერილობით რუხია, მდედრს ზურგზე ოქროსფერი ხაზი გასდევს, მამრს კი - ლურჯი წინწკლები.

საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული. ხშირად გველში ეშლებათ, თუმცა გველისგან აშკარა განმასხვავებელი ნიშნებით გამოირჩევა, როგორიცაა თვალის ქუთუთოებისა და გარეგანი სმენის აპარატის არსებობა.

ცოცხლადმშობია და იკვებება მწერებით, მრავალფეხებითა და ლოკოკინებით. სარგებლობა მოაქვს მავნებლების განადგურებით.

ისევე როგორც ჩვეულებრივ ანკარას, საქართველოს წითელ ნუსხაში მინიჭებული აქვს სტატუსი - LC (არ საჭიროებს ზრუნვას).

ჭრელტყავა (Vormela peragusna)
კვერნისებრთა ოჯახის მტაცებელი ძუძუმწოვარი. მისი სხეულის სიგრძეა 27-35 სმ-ია, მასა - 280-580 გრამი. შეფერილია შავ-თეთრ-ყვითლად, ხალებიანია.

ჭრელტყავას არეალი მოიცავდა საქართველოს უმეტეს ნაწილს, დასავლეთ საქართველოს ნოტიო ტყეების გამოკლებით (კოლხეთის დაბლობი), თუმცა ყველგან მცირერიცხოვანი იყო. გავრცელების დღევანდელი არეალი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილს – ჯავახეთის ზეგანს და მის მიმდებარე ტერიტორიებს.

ბინადრობს ღია მშრალი ეკოტოპები – ველებზე, იშვიათად მთისწინებსა და ბუჩქნარებში. ვერტიკალურად ვრცელდება

2100 მეტრზე, იკვებება მღრღნელებით, ფრინველებით, ხვლიკებით, კენკრით და სხვა.

ეროვნული კონსერვაციული სტატუსით მიჩნეულია საფრთხეში მყოფ სახეობად (EN).